

სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მოთხოვნა ქართულ ცხვარზე არაბულ ქვეყნებში გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ არაბულ ქვეყნებში მოთხოვნა ქართულ ცხვარზე გაიზარდა გასული წლის განმავლობაში. ბოლო 2 წლის განმავლობაში 30 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების დაახლოებით 400 000 ცხვარი გაიტანეს ექსპორტზე საქართველოდან, განაცხადეს სამინისტროში. საერთო რაოდენობაში არაბულ ქვეყნებზე მოდიოდა 255 000 ცხვარი (დაახლოებით 23 მილიონი აშშ დოლარი). სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირთან საქართველო შევიდა ე.წ. მესამე ქვეყნების სიაში, რაც უფლებას აძლევს ქვეყანას გაიტანოს მატყლი ექსპორტზე ევროკავშირში. მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ისაუბრა მეცხვარეობის მდგომარეობაზე და დარგის პერსპექტივებზე მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელთან ბექა გონაშვილთან ერთად ტარიბანას ზამთრის სამოვრებზე სტუმრობისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი). სამინისტროს ცნობით 2 ბიოუსაფრთხო პუნქტი გაიხსნა წელს კახეთში (დედოფლისწყარო და სიღნაღი), ხოლო მესამე გაიხსნება მომავალ წელს ყვარელში.

Sarke Information News, 30 მარტი, 2017 წელი

ეკონომიკის სამინისტრო: „ნატურა თი კომპანი“ გაყიდის ნაწარმს ჰიპერმარკეტ „აგროჰაბში“ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში განაცხადეს, რომ შპს „ნატურა თი კომპანის“ ჩაის ნაწარმი გაიყიდება თბილისში ჰიპერმარკეტში „აგროჰაბი“. კომპანია, რომელიც დაფინანსებულია ერთიანი აგროპროექტის (შეღავათიანი აგროკრედიტის) ფარგლებში, ფლობს ჩაის პლანტაციას 50 ჰა-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურია) და ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე, აცხადებენ სამინისტროში. კომპანიის პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე 2015 წელს გამოჩნდა. „ნატურა თი კომპანი“ რეგისტრირებულია თბილისში 2013 წელს. მისი დამფუძნებლები არიან ირაკლი ნადაშვილი (საქართველო, იტალია) და ბერდია ელგუჯაური (50% თითოეული).

Sarke Information News, 24 მარტი, 2017 წელი

ბანკები და ფინანსები: „რას ნიშნავს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია - სამოქმედო გეგმა 2017“

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით 110 ახალი ან უკვე მოქმედი საწარმოსთვის. 5000-მდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები დაზღვეული იქნება. გარდა ამისა, ახალი ბალები გაშენდება 700 ჰა-ზე; სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება 7 500 ჰა-ზე; დაახლოებით 1 600 ჰა-ზე განხორციელდება მელიორაცია სადრენაჟო სამუშაოების ჩატარების შემდეგ; 800 კმ სარწყავი და სანიაღვრე არხები გაიწმინდება და მოწესრიგდება; 40-მდე კოოპერატივი მიიღებს აუცილებელ ინვენტარს. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სულ 320 მილიონი ლარი ჩაიდება 150-მდე პროექტში, 8 000 ადამიანი დასაქმდება დამატებით, დაახლოებით 1 300 მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტი შეიქმნება, 3 000 ბენეფიციარი გაივლის ტრენინგებს. საქართველოს ტურიზმის და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარების თვალსაზრისით სულ 40 მილიონი ლარი ჩაიდება 30-მდე პროექტში, დაახლოებით 800 ადამიანი იქნება დამატებით დასაქმებული, 30 ტურისტული მარშრუტი და 20 ფეხით სამოგზაურო ბილიკები მოეწყობა, მინიმუმ 700 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან გადამზადდება. 10 საინოვაციო ცენტრი ამოქმედდება სოფლებში და დასახლებებში. მთავრობის

მიერ ინიცირებული იყო განვითარების სტრატეგია, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის დახმარებით და გაეროს ორი სააგენტოს განვითარების პროგრამის (UNDP) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში (გამოქვეყნდა 22 მარტს).
Sarke Information News, 23 მარტი 2017, წელი

სუბლიმირებული ხილის საწარმო გაიხსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „გაერთიანებული აგროპროექტის“ ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით სუბლიმირებული ხილის საწარმო „გემუანი“ ამოქმედდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერში (სამეგრელოს რეგიონი) სახელმწიფო პროგრამა „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. სამინისტროს ცნობით, საწარმოში განხორციელებულია 851 024 დოლარის ინვესტიცია, 250 000 აშშ დოლარი გრანტის და 484 512 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტის ჩათვლით. კომპანია „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანდაფინანსების პროგრამის“ ბენეფიციარია, რომელიც ხორციელდება „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. საწარმოში, რომელიც წლიურად 22 ტონა სხვადასხვა სახეობის სუბლიმირებული ხილის წარმოებას უზრუნველყოფს, 30 ადამიანია დასაქმებული. პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზარზე და მიეწოდება ექსპორტზე. საწარმოს პროდუქციას 150-ზე მეტი მცირე და საშუალო ფერმერი აწვდის. დღემდე სამეგრელოს რეგიონში გაიხსნა 20 ახალი და გაფართოვდა 36 საწარმო, რომელთა ინვესტიციის სრული მოცულობა 25 მილიონ აშშ დოლარამდეა, განაცხადეს სამინისტროში.

Sarke Information News, 22 მარტი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: AFD მხარს დაუჭერს მეწარმეებს და ფერმერებს საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) განახორციელებს მცირე ფერმერების და მეწარმეების მხარდაჭერის პროექტებს საქართველოში. AFD-მ გახსნა წარმომადგენლობა თბილისში. შეხვედრაზე სამინისტროში თანამშრომლობის გაფართოების საკითხები განიხილეს AFD-ს დელეგაციის წევრებთან. ამასთან, ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა ქართული პროდუქციის ნიშის მნიშვნელობას ექსპორტში ევროკავშირის ბაზარზე, განაცხადეს სამინისტროში.

Sarke Information News, 22 მარტი, 2017 წელი

სახელმწიფომ წარმოადგინა სასოფლო განვითარების სტრატეგია

საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის 16 მარტს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა, განსაზღვრა რა პრიორიტეტები ამ მიმართულებით 2017-2020 წლებში. მთავრობამ მიიღო სტრატეგია 2016 წლის დეკემბერში. სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 2013-2019 წლებში შეადგენს 102 მილიონ ევროს. ENPARD-ის მიხედვით, პროგრამის პირველი ფაზა ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ხოლო მეორე ეტაპი მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას.

Sarke Information News, 17 მარტი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

მონიტორინგის და შეფასების ახალი სისტემა დაინერგება სომხეთის სოფლის მეურნეობის სექტორში

სოფლის მეურნეობის მაჩვენებლების მონიტორინგის და შეფასების სრულიად ახალი სისტემა დაინერგება სომხეთში, მინისტრმა იგნატ არაქელიანმა ჟურნალისტებს განუცხადა ხუთშაბათს. მისი თქმით, სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა უწყებებთან გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) დანერგვის თაობაზე. „სოფლის მეურნეობის არელების რუკების შედგენა და ზონებად დანაწილება მოხდება სომხეთის მთელ ტერიტორიაზე“, განაცხადა მან. არაქელიანმა აღნიშნა, რომ დღეს სოფლის მეურნეობის ზრდის ან შემცირების მაჩვენებლები ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ სავარაუდო ინფორმაციას და არა ზუსტ გაანგარიშებებს. „ჩვენ გვექნება სომხეთის მთელი ტერიტორიის სატელიტური სურათი და ნათელი წარმოდგენა გვექნება, თუ რა არის მოყვანილი სომხეთში, მიწის რა ნაწილია გამოუყენებელი და რა მდგომარეობაშია“, განაცხადა მან. „ჩვენ ასევე შევძლებთ დავადგინოთ რეალური ზიანი სექტორს“. მინისტრის თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები იქნება ასახული და შემუშავდება ბიზნეს გეგმები. პირველი GIS გამოჩნდა 1960 წელს შვედეთში და შემდეგ კანადაში.

31 მარტი, 2017 წელი, Arka

ECOTOMATO 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას მოახდენს ყვავილების სათბურში

სომხეთის პრემიერ-მინისტრი კარენ კარაპეტიანი ეწვია ოთხშაბათს Ecotomato-ს ვარდების სათბურს კოტაიკის პროვინციაში გოხტის თემში, განაცხადეს ხელისუფლების პრესამსახურში. სათბური აღჭურვილია ჰოლანდიური კომპანია Dalsem-ის თანამედროვე მოწყობილობებით. Ecotomato ექსპორტზე გაიტანს მისი პროდუქციის 80%-ს რუსეთში, ბელორუსში და საქართველოში. 22 მილიონი ვარდის ექსპორტი დაგეგმილია წელს. კომპანია აპირებს 20 ჰექტარი სათბურის გაფართოებას დამატებითი 15 ჰექტარით. აპირებენ 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას. კომპანიამ უკვე გადაწყვიტა ვარდების გაგზავნა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, თურქმენეთში, ყაზახეთში და ყირგიზეთში. დაახლოებით 200 ადამიანი მუშაობს კომპანიაში ამჟამად და კიდევ 200 დასაქმდება ახალი საინვესტიციო პროგრამის შედეგად.

30 მარტი, 2017 წელი, Arka

სომხეთში ვედის წყალსაცავის მშენებლობა დაიწყო

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა იმოგზაურა ქვეყნის არარატის პროვინციაში ვედის წყალსაცავის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიაზე დასასწრებად. თანამდებობის პირებმა, რომლებიც ცერემონიალს ესწრებოდნენ იმედი გამოთქვეს, რომ პირველი წყალსაცავის მშენებლობა მას შემდეგ, რაც სომხეთი დამოუკიდებელი გახდა 1991 წელს, საფუძველს ჩაუყრის სექტორის განვითარებას და რომ შედეგები იქნება სამი ან ოთხი წლის შემდეგ. სპეციალისტები ამბობენ, რომ 29,4 მლნ კუბური მეტრი წყალი შეიძლება იყოს დაცული ამ წყალსაცავში. წყალსაცავი შეივსება მდინარეებიდან ვედი და ხოსროვი. აქ დაგეგმილია ორი ჯებირის აშენება. პროგრამის განხორციელების სავარაუდო ღირებულება 90 მილიონი ევროა. ფინანსური რესურსები გამოყოფილი იქნება საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ სომხეთის მთავრობის თანადაფინანსებით. წყალსაცავი უზრუნველყოფს 7 500 ჰექტარი მიწის მორწყვას არარატის ველზე და ასევე ხელს შეუწყობს ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენას სევანის ტბაში. წყალსაცავის პროექტი შემუშავებულია საფრანგეთის Artelia Eau & Environment-ის, ბელგიის SHER Ingenieurs-Conseils-ის და Jrtuk LLC-ის თანამშრომლობით. წყალსაცავის მშენებლები არიან სომხური Sahakyanshin და ირანული Pega Construction. ჯებირების და სხვა საყრდენების ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის მარტში და, სავარაუდოდ, 2021 წლის მარტში დასრულდება. სარგსიანმა მიიღო ინფორმაცია, რომ 250 ახალი სამუშაო

ადგილი საშუალო ხელფასით 220 000 ან 250 000 სომხური დრამი (455-517 აშშ დოლარი) შეიქმნება.

29 მარტი, 2017 წელი, Arka

სოფლის მეურნეობის ტექნიკის ლიზინგის ხელშეწყობის პროგრამა ამოქმედდება სომხეთში

სომხეთის მთავრობამ მორიგ სხდომაზე ხუთშაბათს დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგის მხარდაჭერის პროგრამა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა განაცხადა, რომ პროგრამის ღირებულება 2017 წლისთვის არის 2,2 მილიარდი სომხური დრამი. პროექტით გათვალისწინებულია სესხები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისთვის 2% წლიური საპროცენტო განაკვეთით. „პროგრამა საშუალებას მისცემს კერძო ფერმერებს იყიდონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეღავათებით“, განაცხადა მან. „კერძოდ, ლიზინგი უზრუნველყოფილი იქნება 9%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომლის 7%-ის სუბსიდირებას უზრუნველყოფს ხელისუფლება სასუქების პროგრამის ფარგლებში“ დაზოგილი ფინანსური რესურსებიდან. თუ პროგრამის განხორციელება წარმატებული იქნება, დაფინანსება, სავარაუდოდ, გაიზრდება. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კარენ კარაპეტციანმა ხაზი გაუსვა რა ამ პროგრამის მნიშვნელობას, განაცხადა, რომ პროგრამა საშუალებას მისცემს ფერმერებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეღავათიანი პირობებით „ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სანამ ჩვენ არ დავწერგავთ ტექნოლოგიებს სოფლის მეურნეობაში, ჩვენ არანაირი შედეგი არ გვექნება ამ სეგმენტში“, განაცხადა მან.

17 მარტი, 2017 წელი, Arka

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი შეიქმნება სომხეთში

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი შეიქმნება სომხეთში სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების სააგენტოს ბაზაზე. ეს გადაწყვეტილება მიიღო დღეს მთავრობამ. სოფლის მეურნეობის მინისტრის იგნატ არაქელიანის თქმით, ფონდის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იქნება სხვადასხვა წყაროდან დაფინანსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო პროგრამის კოორდინაციის გაწევა. „ფონდი გააუმჯობესებს ხარისხს და მომსახურების სპექტრს სოფლის მეურნეობის სექტორში, კოორდინაციას გაუწევს დონორების პროგრამებს, ხელს შეუწყობს პროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარებას და რესურსების მაქსიმალურად სწორად განაწილებას“, განაცხადა არაქელიანმა. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს სტაბილური და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარებას. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კარენ კარაპეტციანმა დასძინა, რომ მთავარი მიზანი არის არა მხოლოდ სტაბილური და კონკურენტუნარიანი, არამედ თანამედროვე განვითარების უზრუნველყოფა. „ჩვენ ძირეულად უნდა შევცვალოთ ტექნოლოგიები ამ სფეროში“, ამბობს კარაპეტციანი.

9 მარტი, 2017 წელი, Arka

ეკოტურიზმის განვითარება, ბაღების გაშენება ახალი ტექნოლოგიებით

მნიშვნელოვანი ინვესტიციები არის მოსალოდნელი სოფლის მეურნეობის, წარმოების და ტურიზმის სექტორში სიუნის პროვინციაში. „სიუნის პროვინციის განვითარების და ინვესტიციების ფონდის“ დირექტორმა დავით აბოვიანმა განუცხადა „არმენპრესს“, რომ სამუშაოები უკვე დაწყებულია. „სოფლის მეურნეობის სფეროში შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით ჩვენ ვცდილობთ ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც იქნება სამაგალითო სოფლის მცხოვრებლებისთვის. ეს პროექტები ითვალისწინებს ბაღების გაშენებას უახლესი ტექნოლოგიებით. ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ტერიტორიები სიუნის პროვინციაში, რათა აგვეჩინა ნაკვეთები ხეხილის ბაღებისთვის“, განაცხადა მან. ბაღები გაშენებული იქნება ფონდის სახსრებით და ფონდი გააკონტროლებს სამუშაოებს. სოფლის მცხოვრებლები ჩართული იქნებიან ამ სამუშაოებში. „არსებობს გარკვეული სტერეოტიპები, რომლის მიხედვით ვაშლი არ იზრდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე, თუმცა, მიწის ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ეს ზონა ხელსაყრელია ვაშლისთვის. ფონდის პროგრამების მეშვეობით ჩვენ გვინდა

გამოვავლინოთ, რომ შესაძლებელია სხვა პროდუქტების მოყვანაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, სეტყვის საწინააღმდეგო ზადებებით, წვეთოვანი სარწყავი სისტემებით და ა.შ.“, განაცხადა დავით აბოვიანმა. შემდეგი პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში არის სამაცივრე საწყობების გახსნა. ასეთი პროექტი სავარაუდოდ განხორციელდება მეღრიში. ამჟამად პროექტი გამოცდის ეტაპზეა. პროექტის მიზანია დაეხმაროს სოფლებს გადაწყვიტონ მოსავლის აღების პრობლემები, ასევე მოახდინონ პროდუქციის ტრანსპორტირების რეგულირება სამომხმარებლო ბაზარზე. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების ცენტრის პროგრამა სისიანში. პროგრამის ფარგლებში შექმნილი იქნება ევროპული წარმოების ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. „ჩვენ ვგეგმავთ ისეთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვიყვანოთ ახალი კულტურები. ახალი ტექნიკის გამოყენებით ჩვენ გავხდით მუშაობას ბევრად უფრო ეფექტიანს. პროვინციაში არსებული ტექნიკა უკვე ძველია“, განაცხადა მან და დასძინა, რომ ახალი ტექნიკით დიდ დახმარებას გაუწევენ სოფლის მცხოვრებლებს. ამჟამად ამ პროექტის დაფინანსების საკითხი განიხილება. ფონდი დააფინანსებს პროექტის ზოგიერთ ნაწილს და დანარჩენის დაფინანსებას მთავრობა მოახდენს. ტურიზმის სექტორის ზრდა ასევე მოსალოდნელია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოტურიზმს. ამ მიზნით დაგეგმილია შეიქმნას საკურორტო ტერიტორია, განვითარდეს სასტუმრო სახლები. „ჩვენ შევარჩევთ სახლებს სისიანში, კაპანში, გორისში, მეღრიში და ხელს შევუწყობთ მათ გადაკეთებას სასტუმრო სახლებად. ჩვენ მზად ვართ, უზრუნველვყოთ სამშენებლო მასალები, ჩვენ ვგეგმავთ დავეხმაროთ იმ ოჯახებს, რომლებიც შეძლებენ იმუშაონ ტურისტებთან, მოვაწყობთ ინგლისურის ლექციებს მათთან“, განაცხადა მან. დავით აბოვიანმა განაცხადა, რომ კაპანის აეროპორტის ამოქმედება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირებები მისი ოპერირების შესაძლებლობების დასადგენად. დავით აბოვიანმა განაცხადა, რომ თუ იქნება პოზიტიური ნიშანი, ამ პროექტის განხორციელებაზე აუცილებლად იმუშავებენ.

7 მარტი, 2017 წელი, *Armenpress*

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის ნოემბრის #55 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:

<http://agrogeorgia.blog.com/>

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

<http://eeas.europa.eu/delegations/georgia/>.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: www.enpard.ge

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvge.org

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე:
<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>